

დამტკიცებულია

სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის

2021 წლის 18 თებერვლის №21 ბრძანებით

სსიპ კასპის კოლეჯის

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

2021 წელი

სსიპ კასპის კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

მუხლი 1. შესავალი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირს კასპის კოლეჯს (შემდგომში - კოლეჯი) წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად პრიორიტეტად აქვს დასახული ყოველდღიურ საქმიანობაში კომპლექსური მიდგომების დანერგვით გაატაროს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის პრინციპების განხორციელებას, კოლეჯის ხელმძღვანელობა (მენეჯმენტი) უზრუნველყოფს ამ პროცესების მართვის, ხელმძღვანელობის, საჭირო კომუნიკაციებისა და რესურსების არსებობის მეშვეობით, ამასთან მუდმივად ზრუნავს სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხების გაუმჯობესობასა და სრულყოფაზე.
2. კოლეჯის ხელმძღვანელობა დასაქმებული პერსონალისთვის უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოსა და ჯანსაღი პირობების შექმნას. კოლეჯის დირექციას გაცნობიერებული აქვს მაღალი პასუხისმგებლობა იზრუნოს, კოლეჯში დასაქმებულ თანამშრომლებზე, ასევე პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და ვიზიტორების (მესამე პირები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.
3. კოლეჯის ხელმძღვანელობა ადასტურებს თავის ვალდებულებას, დაიცვას სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გამოცემული, როგორც საქართველოში მოქმედი შესაბამისი კანონები და მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, ასევე საერთაშორისო პრაქტიკაში დანერგილი და რეკომენდირებული უსაფრთხოების ნორმებისა და ინსტრუქციების მოთხოვნები.

მუხლი 2. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები

1. კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიზანია, სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშესაწყობად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, კოლეჯი უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სისტემის მოწყობის საქმიანობის სხვა მიზნებთან გათანაბრებასა და თავსებადობას. ამასთან, დასახული მიზნების შესაბამისად, იღებს ვალდებულებას დააწესოს კონტროლი შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების ზუსტ და ჯეროვან შესრულებაზე;
2. შრომის უსაფრთხოებაზე მოთხოვნების დაცვა ორგანიზაციის ტერიტორიაზე სავალდებულოა, როგორც დასაქმებულთათვის, ასევე პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისათვის, მესამე პირთათვის (ვიზიტორებისათვის) და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შემსრულებლებისათვის, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ კოლეჯის ტერიტორიაზე.

მუხლი 3. შრომის უსაფრთხოების სიტემის მართვა

1. კოლეჯი შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებისას დაეყრდნო შემდეგ სამ ძირითად პრინციპს:
 - 1.1. სამართლებრივი - „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა ორგანიზაციისთვის, რის გამოც, კოლეჯი მზადაა დაიცვას კანონით დაკისრებული ვალდებულებები და მოთხოვნები.
 - 1.2. ფინანსური - ყოველდღიურ სამუშაო პროცესში შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის პრაქტიკული განხორციელება, იძლევა რეალურ შესაძლებლობას თავიდან იქნეს არიდებული კოლეჯის პერსონალის უბედურ შემთხვევებთან და პროფესიულ დაავადებებთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯების გაღება, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახება, როგორც ორგანიზაციის ბიუჯეტზე, ასევე საქმიან რეპუტაციაზე.
 - 1.3. მორალური - კოლეჯში არასათანადო სამუშაო გარემოსა და შრომის უსაფრთხოების ნორმების არარსებობის ან უგულვებელყოფის გამო, მომხდარი უბედური შემთხვევების, მიღებული ტრავმების თუ პროფესიული დაავადებებით დასნეულება, უდიდეს ნეგატიურ გავლენას ახდენს როგორც

დაზარალებულზე, ასევე მათი ოჯახის წევრებსა და კოლეგებზე, რისი თეორიული დაშვებაც კი მორალური თვალსაზრისით ყოვლად დაუშვებელია კოლეჯის ხელმძღვანელობის მიერ.

2. კოლეჯს აღებული აქვს პასუხისმგებლობა, აწარმოოს შრომის უსაფრთხოები სისტემის მართვა. ამასთან, სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მთავარ ელემენტებად განიხილება: პოლიტიკა, ორგანიზება, დაგეგმვა, დანერგვა, შეფასება და სრულყოფის ღონისძიებები. შრომის უსაფრთხოების სისტემა აგებულია შემდეგ მოდელზე:

- ა) დაგეგმე – განსაზღვრე პოლიტიკა, დაგეგმე მისი დანერგვა;
- ბ) გააკეთე – გააანალიზე რისკები, განახორციელე გეგმა;
- გ) შეამოწმე – გაზომე შესრულების ხარისხი, შეაგროვე მონაცემები;
- დ) იმოქმედე – განიხილე შესრულების ხარისხი, ისწავლე შეცდომებზე.

მუხლი 4. რისკების შეფასება და მართვა

1. კოლეჯი აცნობიერებს და უშვებს ალბათობას, რომ მუდმივ სამუშაო პროცესში სხვადასხვა ფაქტორების (ტექნიკური, მექანიკური, ბუნებრივი, ადამიანური) გავლენით პერიოდულად წარმოიქმნება რისკები, რომელთა უგულვებელყოფამ შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებული პერსონალის და კოლეჯის სამუშაო სივრცეში მყოფი პირების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას. სწორედ აღნიშნული რისკების ჩანასახშივე აღმოჩენა, შეფასება, კონტროლი, აღმოფხვრა და შემდგომი პრევენცია წარმოადგენს კოლეჯის ხელმძღვანელობის მთავარ პასუხისმგებლობასა და გამოწვევას.

2. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკაში რისკების მართვა არის კოლეჯის სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. რისკის მართვა წარმოადგენს საფრთხეების იდენტიფიცირების, შეფასების, მონიტორინგის და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო პრევენციული ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს კოლეჯის საწესდებო მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის მინიმუმადე შემცირების ან სრულად აღმოსაფხვრელად.

3. რისკის შეფასება უნდა გამოხატავდეს არსებულ საფრთხეებს და ზოგადი კონტროლის მექანიზმებს. კოლეჯი რისკების შეფასების პროცესს ხუთ საფეხურად ყოფს:

- საფრთხის აღმოჩენა (იდენტიფიცირება);
- რისკის შედეგად შესაძლო დაზარალებულ პირთა წრის და ზიანის მიღების ვითარების განსაზღვრა;
 - რისკების გაანალიზება და იმის განსაზღვრა, არის თუ არა არსებული კონტროლის ზომები ადეკვატური ან საჭიროა თუ არა მეტის გაკეთება;
 - მონაცემების დოკუმენტირება (მნიშვნელოვანი დასკვნების ჩანაწერების გაკეთება);
 - შეფასებების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში განხილვა.

მუხლი 5. რისკების კონტროლი

1. რისკების საკონტროლო ზომები კოლეჯის მიერ ჩამოყალიბებულია შემდეგ იერარქიულ საფეხურებად:

- ა) აღმოფხვრა: საფრთხის შემცველი წყაროს მოშორება;
- ბ) ჩანაცვლება: მასალების ან პროცესების ნაკლებად სახიფათო მასალებით ან პროცესებით ჩანაცვლება;
- გ) საინჟინრო კონტროლის განხორციელება: საფრთხის წყაროსთან წვდომის თავიდან აცილება, მექანიკური და საინჟინრო ბარიერების (დამცავების) მონტაჟი;
- დ) ადმინისტრაციული კონტროლი: წესების, პროცედურებისა და ინსტრუქციების შექმნა შრომის უსაფრთხოებისათვის და ზედამხედველობის მექანიზმების შემუშავება, დასაქმებულთა რეგულარული სწავლება;
- ე) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები: თანამშრომელთა უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღსაჭურვად.

2. კონკრეტული სიტუაციის აუცილებლობიდან გამომდინარე კოლეჯი დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას რისკის აღმოსაფხვრელად (შესამცირებლად) შესაბამისი საკონტროლო ზომის გამოსაყენებლად, რაც შეიძლება არ ემთხვეოდეს ზემოდაღნიშნულ იერარქიულ რიგითობას. იმ შემთხვევაში თუ გამოყენებული საკონტროლო ზომა აღმოჩნდება არაეფექტური, შესაძლებელია

ჩანაცვლებულ იქნას სხვა საკონტროლო ზომით, ან აუცილებლობიდან გამომდინარე მოხდეს რამდენიმე საკონტროლო ზომის ერთდროულად გამოყენება.

3. კონტროლის ზომების შერჩევის ანალიზის დროს უნდა მოხდეს შედარება საკონტროლო ღონისძიების სავარაუდო ხარჯებსა და მისაღებ შედეგს შორის. მხოლოდ ამ კომპონენტების ანალიზის შემდეგ, კოლეჯის მიერ ხდება საუკეთესო ზომის შერჩევა.

4. რისკის მართვის ღირებულება უნდა იყოს შესაბამისი იმ სარგებლისა, რაც მიიღება ამ მართვის შედეგად. როდესაც ხორციელდება ხარჯის სარგებელთან შედარება, გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული გარემო და ვითარება. მნიშვნელოვანია, მხედველებაში მიღებულ იქნას ყველა პირდაპირი და ირიბი ხარჯი და სარგებელი, (როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური) მოხდეს მათი შეფასება ფინანსური, მატერიალური ან სხვა მეთოდით.

5. იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი კონტროლის ზომების ბიუჯეტი არის შეზღუდული, კოლეჯის ღონისძიებების გეგმამ ზუსტად უნდა ასახოს ის პრიორიტეტები, რომელსაც დაეფუძნება გეგმა.

მუხლი 6. პერსონალის სწავლება

1. კოლეჯი იღებს ვალდებულებას დასაქმებულ პერსონალს ეტაპობრივად (სულ მცირე 6 თვეში ერთხელ) ჩაუტაროს თეორიული და პრაქტიკული სწავლება (ინსტრუქტაჟი) შრომის უსაფრთხოებაზე, სახანძრო უსაფრთხოებაზე, საგანგებო სიტუაციებისა და ევაკუაციის დროს ქცევის წესებზე. ასევე, პერსონალმა უნდა გაიარონ მომზადება კონკრეტული სპეციფიკური სამუშაოსთან დაკავშირებულ უსაფრთხოების ნორმებზე.

2. ქვეყანაში ვირუსული ინფექციით გამოწვეული პანდემიის პერიოდში კოლეჯის თანამშრომლებს უტარდებათ შესაბამისი სწავლებები სამუშაო ადგილებზე ვირუსის გვრცელების თავიდან აცილების, უსაფრთხოების ზომებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების შესახებ.

3. კოლეჯში ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გაეცნოს თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და უსაფრთხოების წესებს.

მუხლი 7. დისციპლინური პოლიტიკა

1. თანამშრომელთა უსაფრთხოების, ჯანმრთელობის და ჯანსაღი სამუშაო გარემოს დასაცავად აუცილებელია კოლეჯის მიერ დადგენილი უსაფრთხოების ნორმების ზედმიწევნით დაცვა. ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით რთულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის სათანადოდ უზრუნველყოფა გარკვეული ტიპის დისციპლინარული პოლიტიკის გატარების გარეშე. კოლეჯში მოქმედი დისციპლინარული პოლიტიკა, უსათუოდ იქნება გამოყენებული შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში.

2. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების გამოვლენისას, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, დამრღვევი თანამშრომლის მიმართ კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, შეფარდებული იქნება შესაბამისი დისციპლინარული პასუხისმგებლობის ადეკვატური ზომები.

მუხლი 8. მონიტორინგი და ანგარიშგება

1. გამოვლენილი საფრთხეებისა და რისკების პროფილაქტიკური ღონისძიებების ჯეროვანი განხორციელების შესაბამისობის დადგენის მიზნით, კოლეჯში წარმოებს პერიოდული მონიტორინგი. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ჩაატაროს შიდა ინსპექტირებები და შეამოწმოს, რამდენად სწორად მიმდინარეობს რისკების კონტროლის პროცესი, ასევე, აღნიშნული მონიტორინგი ხელს უწყობს ახალი საფრთხეების იდენტიფიცირებას, რაზეც წარმოებს შესაბამისი ანგარიშგება მმართველ რგოლთან. მონიტორინგის შედეგები ჩაინიშნება, დამუშავდება და განიხილება მენეჯმენტთან ერთად, შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით.

2. კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს მუდმივი მონიტორინგისა და პერიოდული განხილვის საგანს, რათა კოლეჯის მიერ სამუშაო ადგილზე ზედმიწევნით იქნას შესრულებული და დაცული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივ-მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნები და ვალდებულებები.